

[Pick the date]



**EWU
NI**

მუხლი 1. სტრატეგიის მიზნები და ამოცანები

1. წინამდებარე სტრატეგია მიზნად ითვალისწინებს უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევის ორგანიზებისა და მხარდაჭერის ღონისძიებების განსაზღვრას კვლევაში ჩართული და კვლევის მხარდაჭერასა და განვითარებაზე პასუხისმგებელი პირების წრეს, საუნივერსიტეტო კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმებს, კვლევის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებს და კვლევის განხორციელების ზოგად პოლიტიკებს.

2. კვლევითი საქმიანობის ეფექტურობა და სამეცნიერო კვლევაში ჩართულობა არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობის ხარისხის შეფასების ერთერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი.

მუხლი 2. კვლევითი საქმიანობის საუნივერსიტეტო მხარდაჭერის მექანიზმები

1. სამეცნიერო კვლევის საუნივერსიტეტო მხარდაჭერის სისტემა მოიცავს კვლევების მხარდამჭერი ორგანიზაციული სტრუქტურების, კვლევის შეფასების ინდიკატორების, საუნივერსიტეტო საგრანტო სისტემის, პლაგიატის საწინააღმდეგო პოლიტიკისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის დანერგვას.

მუხლი 3. კვლევითი საქმიანობის ორგანიზაციული მხარდაჭერის სტრუქტურები

1. უნივერსიტეტის საერთო მიზნებთან და გეგმებთან შესაბამისობაში, სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით შეიქმნება საუნივერსიტეტო კვლევების განვითარების სამსახური. მის შექმნამდე კვლევების მხარდაჭერას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურები.

2. კვლევების განვითარებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ სამეცნიერო კვლევის განვითარების ხელშეწყობას, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვა-შეფასების პროცესების კოორდინაციას, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების განხორციელების ორგანიზაციულ მხარდაჭერას, კვლევის ფარგლებში აკადემიური პათიოსნების დაცვის კონტროლს.

3. კვლევების განვითარების ხელშეწყობი აქტივობების განსახორციელებლად შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები ახორციელებენ შემდეგ უფლებამოსილებას:

ა) შეიმუშავებენ უნივერსიტეტის კვლევითი ღონისძიებების გეგმას;

ბ) ორგანიზებას უწევენ საუნივერსიტეტო კვლევით აქტივობებს (კონფერენციები, სემინარები, ვორქშოპები და სხვა);

გ) მონაწილეობენ კვლევითი ნაშრომების რევიუს და რეცენზირების პროცესის შესაბამისი კადრებით დაკომპლექტებაში;

დ) აანალიზებენ აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის და უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრების (არსებობის შემთხვევაში) ანგარიშებს;

ე) ადმინისტრირებას უწევენ საუნივერსიტეტო კვლევით გრანტებს;

ვ) ამზადებენ დასკვნას აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით მუშაობაზე და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს აკადემიური კვლევის განვითარებისთვის;

ზ) უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის ფარგლებში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვას და მონაწილეობენ პლაგიატის საწინააღმდეგო ღონისძიებების უნივერსიტეტში დანერგვისათვის.

თ) საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურთან ერთად შეიმუშავებენ და ადმინისტრირებას უწევენ კვლევითი საქმიანობას ინტერნაციონალიზაციის მიზნით საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესში;

ი) უზრუნველყოფენ ერთობლივი საგრანტო, სასტიპენდიო და კვლევითი პროექტების კოორდინირებას უნივერსიტეტის სახელით;

კ) ზრუნავენ უცხოელი მკვლევარების უნივერსიტეტში მონაწილეობაზე.

4. სამეცნიერო კვლევის განსახორციელებლად უნივერსიტეტის, მისი ცალკეული საგანმანათლებლო ერთეულისა ან საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების ფარგლებში შესაძლებელია შეიქმნას დამოუკიდებელი კვლევითი ერთეული (ინსტიტუტი, დეპარტამენტი, ცენტრი და ა. შ.)

5. კვლევითი საქმიანობის დაგეგმვისა და შეფასების მნიშვნელოვანი საკითხები - საუნივერსიტეტო გრანტის მინიჭების საკითხის განხილვა, კვლევითი საქმიანობის შეფასება და ა. შ. - შესაძლოა განახორციელონ უნივერსიტეტის კოლეგიურმა ორგანოებმა - უნივერსიტეტის კვლევის განვითარების საბჭომ, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის კომისიამ და ა. შ.

მუხლი 4. სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების სისტემა

1. უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და წახალისებისთვის, უნივერსიტეტი ფინანსური დაგეგმვის დროს ითვალისწინებს კვლევითი პროექტების დაფინანსებისთვის დადგენილ ბიუჯეტს და ადგენს კვლევების დაფინანსების, თანადაფინანსებისა და დაფინანსებაზე უარის თქმის წესს, პროცედურებსა და უფლებამოსილ ორგანოებს.

2. უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წყაროებია:

ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან კვლევის განვითარებისათვის გამოყოფილი დაფინანსება;

ბ) საუნივერსიტეტო გრანტის ფარგლებში მიღებული დაფინანსება;

გ) გარე წყაროებიდან მიღებული დაფინანსება

3. აღნიშნული დაფინანსების გამოყენება შესაძლებელია კვლევითი პროექტის როგორც სრულად ასევე, თანადაფინანსებისთვის. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რომ კვლევებისთვის დადგენილი ბიუჯეტის ოდენობა იყოს შენარჩუნებული ან გაზრდილი ყოველი მომავალი წლისათვის.

4. საერთაშორისო და ადგილობრივ კვლევით პროექტებში უნივერსიტეტის ჩართულობის გაზრდის მიზნით, უნივერსიტეტი და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფები ზრუნავენ კვლევითი პროექტებისა და მასში მონაწილეობის შესაძლებლობების თაობაზე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მკვლევარების ინფორმირებულობის დონის გაზრდაზე, ასევე უნივერსიტეტის სამეცნიერო და კვლევით მიღწევებზე აკადემიური საზოგადოების ინფორმირებისთვის. კვლევების განვითარებაზე

პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული მიაწვდის ინფორმაციას უნივერსიტეტის პერსონალს და სტუდენტებს ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების შესახებ, დაინტერესებულ პირებს ჩაუტარებს კონსულტაციებს და დაეხმარება სასურველი გრანტის მოძიებაში.

სამეცნიერო-კვლევითი გრანტის ადმინისტრირებასა და კოორდინირებაში უნივერსიტეტის მონაწილეობის უმთავრეს პირობას წარმოადგენს პროექტში აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტის სახელით ჩართულობა. აკადემიური პერსონალის ინფორმირებულობისა და საერთაშორისო კვლევით პროექტებში ჩართულობის გაზრდის მიზნით უნივერსიტეტი განახორციელებს ყოველწლიურ ტრენინგებს შემდეგ თემატიკაზე:

- ა) სამეცნიერო კვლევითი პროექტის დაწერა;
- ბ) სამეცნიერო გრანტის მენეჯმენტი;
- გ) სამეცნიერო აკადემიური უნარები და სხვა.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კვლევითი მოღვაწეობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით უნივერსიტეტი ზრუნავს მისი გამოცემების რეიტინგისა და სანდოობის ამაღლებაზე, ასევე მათ ინდექსირებადობაზე მსოფლიო სამეცნიერო გამოცემების ბაზაში.

საუნივერსიტეტო კვლევებში ჩართული პირების შესახებ ინფორმაცია, მკვლევარები, რეცენზენტები და მათი სამეცნიერო ნაშრომები, ასევე საჯაროდ ხელმისაწვდომი იქნება უნივერსიტეტის ვებგვერდის სამეცნიერო პორტალის საშუალებით.

მუხლი 5. უნივერსიტეტის კვლევების განვითარების საბჭო

1. კვლევით საქმიანობის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას, კვლევის ავტორის განაცხადისა და კვლევების განვითარებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების წარდგინების საფუძველზე იღებს უნივერსიტეტის კოლეგიური ორგანო - სამეცნიერო კვლევების განვითარების საბჭო.

2. სამეცნიერო კვლევების განვითარების საბჭოს შემადგენლობაში შედიან

- ა). რექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);

ბ) მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენლები;

გ) საგანმანათლებლო მიმართულების ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები;

დ) სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი;

ე) საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით სათათბირო ხმის უფლებით შესაძლებელია საბჭოში მონაწილე იქნას ექსპერტი.

3. შიდასაუნივერსიტეტო საგრანტო საბჭო მოქმედებს უნივერსიტეტის მისიისა და სამეცნიერო კვლევის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში, რაც გულისხმობს უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალის გაზრდას, კვლევითი ელემენტის ჩართვას სწავლის პროცესში, მკვლევარების წახალისებასა და მათი სამეცნიერო განვითარების ხელშეწყობას.

მუხლი 6. საუნივერსიტეტო კვლევების ინფორმაციული მხარდაჭერა

1. საერთაშორისო და ადგილობრივ კვლევით პროექტებში უნივერსიტეტის ჩართულობის გაზრდის მიზნით, უნივერსიტეტი და მისი სტრუქტურული ერთეულები ზრუნავენ როგორც უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მკვლევარების ინფორმირებულობის დონის გაზრდაზე, კვლევითი პროექტებისა და მასში მონაწილეობის შესაძლებლობების თაობაზე, ასევე აკადემიური საზოგადოების ინფორმირებისთვის, უნივერსიტეტის სამეცნიერო და კვლევით მიღწევებზე.

2. კვლევების განვითარების სტრუქტურული ერთეული მიაწვდის ინფორმაციას უნივერსიტეტის პერსონალს და სტუდენტებს ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების შესახებ, დაინტერესებულ პირებს ჩაუტარებს კონსულტაციებს და დაეხმარება სასურველი გრანტის მოძიებაში.

3. სამეცნიერო-კვლევითი გრანტის ადმინისტრირებასა და კოორდინირებაში უნივერსიტეტის მონაწილეობის პირობა არის პროექტში აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტის სახელით ჩართულობა.

4. აკადემიური პერსონალის ინფორმირებულობისა და საერთაშორისო კვლევით პროექტებში ჩართულობის გაზრდის მიზნით უნივერსიტეტი ახორციელებს ყოველწლიურ ტრენინგებს შემდეგ თემატიკაზე.

ა) სამეცნიერო კვლევითი პროექტის დაწერა

ბ) სამეცნიერო გრანტის მენეჯმენტი

გ) სამეცნიერო აკადემიური უნარები და სხვა.

5. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კვლევითი მოღვაწეობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით უნივერსიტეტი იზრუნებს მისი გამოცემების რეიტინგისა და სანდოობის ამაღლებაზე, ასევე მათ ინდექსირებადობაზე მსოფლიო სამეცნიერო გამოცემების ბაზაში

6. საუნივერსიტეტო კვლევებში ჩართული პირების შესახებ ინფორმაცია, მკვლევარები, რეცენზენტები და მათი სამეცნიერო ნაშრომები ასევე საჯაროდ ხელმისაწვდომი იქნება უნივერსიტეტის ვებგვერდის სამეცნიერო პორტალის საშუალებით.

მუხლი 7. აკადემიური კეთილსინდისიერება და პლაგიატთან ბრძოლა

1. უნივერსიტეტი ითვებს უფლებას, იყოს მის ფარგლებში ან მისი სახელით ჩატარებული

საგანმანათლებლო და კვლევით პროცესში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის გარანტი, ასევე გამოავლინოს და შესაბამისი რეაგირება მოახდინოს აკადემიური პათოსნების ნორმების დარღვევაზე, გაატაროს პლაგიატთან ბრძოლის პოლიტიკა, დაწეროს აკადემიური პათოსნების დარღვევისა და ამ დარღვევებზე დისციპლინარული რეაგირების მექანიზმები, ასევე, განსაკუთრებით მკაცრი ზომები გაატაროს პლაგიატისა და მისი რეციდივის შემთხვევაში.

2. პლაგიატად მიიჩნევა სხვისი ნაშრომის განზრახ მითვისება, მთლიანად ან ნაწილობრივ მისი

როგორც საკუთარის, გამოყენება ან მისი მცდელობა, კერძოდ:

ა) სხვისი ინტელექტუალური შრომის ნაყოფის მითვისება;

ბ) საკუთარი სახელით სხვისი ნამუშევრის ან მისი ნაწილის წარდგენა;

გ) სხვისი ნამუშევრის გამოყენება ციტირების მოთხოვნილი წესის დაცვის გარეშე;

დ) წარმოდგენილ ტექსტში სხვისი ნაშრომით სიტყვასიტყვითი ციტირება, სიტყვითი ან წინადადების წყობის ცვლილება, შინაარსის ცვლილების გარეშე, სხვისი ნამუშევრიდან გამომდინარე დასკვნების მოყვანა წყაროს მითითების გარეშე

3. უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, მის მიერ ორგანიზებულ/კოორდინირებულ სამეცნიერო საქმიანობაში გამოიყენოს პლაგიატის აღმომჩენი/დეტექტორი კომპიუტერული პროგრამა და სხვა ამისთვის აუცილებელი ინფორმაციული რესურსი.

4. პლაგიატის საწინააღმდეგო სისტემა ინტეგრირებულია აკადემიური საქმიანობის ყველა დონეზე. პლაგიატზე შემოწმებას გაივლის ყველა სამეცნიერო ნაშრომი, უნივერსიტეტის ბაზაზე შექმნილი/თარგმნილი ნებისმიერი ლიტერატურა.

✦ უნივერსიტეტის ანტიპლაგიატის პოლიტიკა, ეტაპები და მათი შინაარსი:

ეტაპი პირველი - ინფორმირებულობა: უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ იმისათვის, რომ თავიდან იყოს აცილებული ან/და მინიმუმამდე იყოს დაყვანილი პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევები, ამისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დროულად და სწორად იყოს ინფორმირებული იმ პირთა წრე, რომელთა საქმიანობის შედეგი შეიძლება იყოს პლაგიატი. ამ მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტს ეფექტურად მიაჩნია არა ფრაგმენტული, არამედ კომპლექსური მიდგომის განვითარება, რაც შესაძლოა გამოიხატოს შემდეგი ღონისძიებების გატარებით: უნივერსიტეტში თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა სავალდებულოდ უნდა მოიცავდეს აკადემიური წერის კურსს, რომლის შინაარსიც განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს პლაგიატის შინაარსსა და მის არასასურველ შედეგებზე, ასევე მისი თავიდან აცილების მექანიზმებზე. აღნიშნული კურსი სტუდენტებს შეეთავაზებათ სწავლების პირველივე სემესტრში; საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კომპონენტის სილაბუსში უნდა მიეთითოს პლაგიატის განმარტება და მისი გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი სანქციები, ასეთი შინაარსის საინფორმაციო ტექსტი განთავსებული უნდა იყოს სტუდენტის საგამოცდო ნაშრომზე. სტუდენტისა და პერსონალის უნივერსიტეტთან ე.წ. წინარე სახელშეკრულებო

ურთიერთობის ეტაპზე, პერსონალთან და სტუდენტებთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი სტრუქტურების მიერ უზრუნველყოფილ უნდა იქნას მათი ინფორმირებულობა პლაგიატის შინაარსის და მისი გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი სანქციების შესახებ, რომელიც განსაზღვრულია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით. სტუდენტებს და პერსონალს პირად ელ-პორტალზე დაეგზავნებათ საინფორმაციო შინაარსის შეტყობინება პლაგიატისა და მისი თავიდან აცილების მექანიზმების შესახებ.

მეორე ეტაპი - პრევენცია:

უნივერსიტეტი პლაგიატთან ბრძოლის მეთოდოლოგიაში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს პრევენციაზე, ამისთვის უნივერსიტეტი შეიმუშავებს სპეციალურ სახელმძღვანელოებსა და ინსტრუქციებს პროფესორებისა და სტუდენტებისათვის, რომლითაც ისინი უკვე კონკრეტულ ინფორმაციას მიიღებენ პლაგიატის თავიდან აცილების კონკრეტული ღონისძიებების შესახებ. პრევენციის ეტაპზე მოხდება სტუდენტების გამოკითხვა სპეციალური კითხვარით, რათა შემოწმდეს უკუკავშირი, რამდენად სწორად და სრულფასოვნად იქნა მიწოდებული ინფორმაცია აღქმული. მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად უზრუნველყოფილი იქნება ადეკვატური რეაგირება სასარგებლო რეკომენდაციების შემუშავების ან/და კონკრეტული ღონისძიებების გატარების მიზნით.

მესამე ეტაპი - პლაგიატის აღმოჩენა

პლაგიატის აღმოჩენის ეფექტურ მექანიზმად უნივერსიტეტს მიაჩნია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- ✓ როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური და მონვეული ლექტორების ნაშრომების შეფასება;
- ✓ როგორც სტუდენტის, ასევე პროფესორების ნაშრომების შიდა ელ-ბაზის არსებობა და მისი განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
- ✓ პროფესორების შეფასება გარკვეული პერიოდულობით;
- ✓ ანტიპლაგიატის თავისუფალი წვდომის ელ-პროგრამების აქტიურად გამოყენება;
- ✓ უნივერსიტეტის მიერ პლაგიატ-დეტექტორი პროგრამის შექმნა.

☛ პლაგიატის გამოვლენის პროცესი მის საბოლოო დამტკიცებამდე შემდეგ გზას გადის:

პლაგიატის აღმოჩენა შესაძლებელია უნივერსიტეტის ინიციატივით ჩატარებული მონიტორინგის შემთხვევაში და ასევე პლაგიატის აღმოჩენი პირის მიერ ინდივიდუალურად, ორივე შემთხვევაში აღნიშნული პროცესის ადმინისტრირებასა და კონტროლს ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური, პირველ შემთხვევაში სამსახურის უფროსი მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი შესაძლო პლაგიატის შემთხვევას შესაბამისი სკოლის დეკანთან ერთად კონფიდენციალურად განიხილავს, ხოლო მეორე შემთხვევაში სავარაუდო პლაგიატის აღმოჩენი პირი მიმართავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსს, რომელიც პირველი შემთხვევის მსგავსად შესაბამისი სკოლის დეკანთან ერთად კონფიდენციალურად განიხილავს. ორივე შემთხვევაში ეჭვის საფუძვლიანობის დადასტურების შემთხვევაში იქმნება კომისია, რომელიც დაკომპლექტდება შესაბამისი დარგის სპეციალისტებით, როგორც უნივერსიტეტის პერსონალისგან (თუკი არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი), ასევე გარეშე პირებიდან. კომისიას გამოაქვს შესაბამის დასკვნა. კომისიის მუშაობის დასრულებამდე და პლაგიატის დადასტურებამდე უზრუნველყოფილ უნდა იქნას, რომ ზიანი არ მიაღვეს იმ პირის/პირების რეპუტაციას, ვისზეც მიმდინარეობს წარმოება. აღნიშნული კომისია ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე. კომისიის დასკვნის შესახებ ეცნობება დამრღვევ პირს, ასევე საქმესთან დაკავშირებულ სხვა პირებს, რომლებიც პირდაპირ ან და ირიბად დაკავშირებულნი არიან კვლევასთან. დამრღვევ პირს უფლება აქვს საპასუხო სიტყვით წარსდგეს კომისიის წინაშე და თანაბარ პირობებში შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებით დაიცვას საკუთარი კანონიერი ინტერესები. კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და შესაბამისი მტკიცებულებებით გამყარებული. დამრღვევი უფლებამოსილია გაასაჩივროს კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილება სასამართლოს გზით კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

☛ მეოთხე ეტაპი - პლაგიატზე რეაგირება

უნივერსიტეტი პლაგიატზე რეაგირებას ორი მიმართულებით განიხილავს: დამრღვევისათვის კონკრეტული სანქციის დაკისრება და პლაგიატთან ბრძოლის სისტემური მიდგომების განვითარებაზე ზრუნვა.

↳ პირველ შემთხვევაში უნივერსიტეტმა შესაძლოა გამოიყენოს შემდეგი სანქციები:

- ა) მიეცეს გაფრთხილება. ავტორის ყველა სტატია გამოწვეულ იქნას და შემოწმდეს პლაგიატის ან ფალსიფიკაციის თვალსაზრისით;
- ბ) დაწესდეს სპეციალური მონიტორინგი მომავალ საქმიანობაზე;
- გ) შეუწყდეს შრომითი კონტრაქტი;
- დ) განთავისუფლდეს აკადემიური თანამდებობიდან;
- ე) შეუწყდეს სტუდენტის სტატუსი.

მეორე შემთხვევაში პლაგიატზე რეაგირება განმავითარებელი შინაარსისა და უნივერსიტეტისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ დამრღვევი პირის მიმართ გატარებული სანქცია, რადგან მიიჩნევა, რომ ეს ვერც შეამცირებს და ვერ აღმოფხვრის პლაგიატის სხვა შემთხვევებს. შესაბამისად უნივერსიტეტი განმავითარებელ მექანიზმად მიიჩნევა ისეთ აქტივობების დანერგვას ან/და არსებულის დახვეწას, როგორც არის მაგალითად, უცხო ენის კომპეტენციის სწავლების გაძლიერება, ახალგაზრდა მკვლევარების ნახალისება და მათი როლის წამოწევა კვლევაში, საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში ჩართულობის ხელშეწყობა, საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგულ ჟურნალებში უნივერსიტეტის პროფესორების სტატიების გამოქვეყნების უზრუნველყოფა; სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიაში ორიგინალური, კრეატიული აზროვნების განვითარების ხელშეწყობა; ე.წ. „კონსპექტების“ გამოყენებისა და შექმნის აკრძალვა. სწავლაში კვლევითი კომპონენტის მაქსიმალურად ინტეგრირება და კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარება.

მუხლი 8. აკადემიური პერსონალის კვლევაში ჩართულობის გაზრდა

1. უნივერსიტეტი ყველა მომდევნო აკადემიური კონკურსის ჩატარებამდე, აკადემიური პერსონალისა ან ლექტორისთვის კონტრაქტის გაგრძელების დროს ითვალისწინებს მათ სამეცნიერო კვლევით პოტენციალსა და სამეცნიერო კვლევაში ჩართულობას.

2. უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახური, კვლევების განვითარებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად, ახორციელებს უნივერსიტეტის პერსონალის კვლევითი მუშაობის შეფასებას, კვლევაში ჩართულობის და სწავლების პროცესში კვლევის კომპონენტის გათვალისწინების მიხედვით. კვლევაში მონაწილეობას მიიღებენ როგორც პროფესორები, ასევე სტუდენტები. უნივერსიტეტის დებულება და აკადემიური პერსონალის არჩევის წესი ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის ატესტაციას, კერძოდ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მუშაობა განზოგადებულად შეფასდება აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო კვლევის შეფასების საუნივერსიტეტო ინდიკატორებია:

ა) სამეცნიერო პუბლიკაციები უნივერსიტეტის გამოცემებში;

ბ) სამეცნიერო პუბლიკაციები სხვა გამოცემებში საქართველოში და საზღვარგარეთ;

გ) სამეცნიერო პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის მქონე გამოცემებში;

დ) საუნივერსიტეტო გრანტები;

ე) კვლევითი გრანტები;

ვ) სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა;

ზ) გამოქვეყნებული სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები;

თ) ციტირებათა რაოდენობა.